

საარქივო დოკუმენტის ასლი (ბიზნეს სუბიექტი)

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი არის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა, ასევე უცხო ქვეყნის საწარმოს და არსამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის რეგისტრაციის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში შეტანილი მონაცემები საჯაროა. ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემებს და მარეგისტრირებელი ორგანოდან მიიღოს რეესტრიდან ამონაწერი/ინფორმაცია.

რას ნიშნავს რეგისტრაცია?

რეგისტრაცია არის სუბიექტის წარმოშობის, რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების და რეგისტრაციის შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით.

არის თუ არა შესაძლებელი რეგისტრირებული სუბიექტის სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მოთხოვნა?

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებული სუბიექტების შესახებ, მათი რეგისტრაციის დღიდან განხორციელებული ნებისმიერი ცვლილების და მათ საფუძველად არსებული დოკუმენტაციის ასლები. ხოლო რეგისტრაციის საფუძველად გამოყენებული დოკუმენტაციის დედნების გაცემა დაუშვებელია.

რა შემთხვევაშია შესაძლებელი რეესტრში წარმოდგენილი დოკუმენტების დედნების გათხოვა?

წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათხოვა შესაძლებელია მხოლოდ მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, შეწყვეტის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში.

რეესტრში დაცული რა სახის დოკუმენტაცია არის კონფიდენციალური?

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში შეტანილი მონაცემები საჯაროა გარდა კანონით დადგენილი წესით გასადუმლოებული ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაციისა. საიდუმლო ინფორმაციად მიიჩნევა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტი, ასევე

კანონით დადგენილი წესით პირად ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია.

ვინ შეიძლება იყოს განმცხადებელი აღნიშნულ სერვისზე და ვის უნდა მიმართოს მან სერვისის მისაღებად?

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის საარქივო დოკუმენტაციის ელექტრონული ასლები მზადდება ნებისმიერი პირის მოთხოვნით და განთავსდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე www.napr.gov.ge

ვის მივმართო მეწარმე ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ელექტრონული ასლების მოთხოვნით?

მეწარმე და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ელექტრონული ასლების მოთხოვნით მიმართეთ ბათუმის იუსტიციის სახლს. თან იქონიეთ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება (ელექტრონული განცხადება ივსება ფრონტ ოფისის ოპერატორის მიერ);
2. თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ხართ დაინტერესებული პირის წარმომადგენელი, მაშინ დამატებით წარმოადგინეთ სათანადო წესით დამოწმებული წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

ბოქსის ინფორმაცია:

კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება დამატებით მოთხოვნილ იქნეს ნებისმიერი დოკუმენტი ან ინფორმაცია, რაც აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად.

ვადა დასაფასური:

მომსახურების ვადა	მომსახურების ტარიფი
4 სამუშაო დღეში	საფასურის გარეშე

ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და სრულდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ ვადის ბოლო დღეს წარმოადგენს მომდევნო სამუშაო დღე.